წერილის ნომერი: **60-0119294535**
თარიღი: **21/10/2019**
პინი: **0421**

ადრესატი: სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
სახელმწიფო ქონების პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ ზურაბ წიქვაძეს

ბატონო ზურაბ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა თქვენი 2019 წლის 4 ოქტომბრის №6/58971 (სამსახურში რეგისტრაციის №06-0119280302-60, თარიღი: 07.10.2019 წ.) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ. №119-ის მიმდებარედ არსებული 707 კვ.მ. (ს/კ: №01.13.02.003.184) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების საკითხს.

პასუხად გაცნობებთ, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის შესაბამისად, დღევანდელი მდგომარეობით თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.13.02.003.184) ძირითად ნაწილზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), მცირე ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, რზ-2-ში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა ძირითადი და სპეციალური (ზონალური) შეთანხმებით დაშვებული სახეობებისა (იხ. დანართი).

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამუშავებისას გამოიყო და მის ძირითად ნახაზზე დატანილია ურბანული განაშენიანების კონტური, რომლის მიღმაც ყვება ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქ. №119-ის მიმდებარედ არსებული 707 კვ.მ. (ს/კ: №01.13.02.003.184) მიწის ნაკვეთი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექსტური ნაწილის მე-2 მუხლის მე-17 პუნქტის შესაბამისად, დედაქალაქის მიწათსარგებლობის გეგმით გათვალისწინებული განაშენიანების კონტური წარმოადგენს საზღვარს ქალაქის განაშენიანებულ და გაუნაშენიანებელ ტერიტორიებს შორის და განისაზღვრება მის გარეთ არსებული ტერიტორიების საქალაქო სამშენებლო განვითარების შეზღუდვის პირდაპირ პირობად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს წერილობითი დასტური ან მშენებლობის ნებართვა.

დანართი: 1 (ერთი) ფურცელი.

თამარ გვიჩიანი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსი
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი